განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: დავითი კუპატაძე
წევრები: ტიტე ბოლქვაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018 წ.

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **ა(ა)იპ**

საიდენტიფიკაციო კოდი: **402019917**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული კოლეჯი

■ **საზოგადოებრივი კოლეჯი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018 წ.

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ 2018 წლის 22 იანვარს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილ იქნა განაცხადი (ცენტრში რეგისტრაციის #87052) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის" მესამე საფეხურის, „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის" მეოთხე საფეხურის და „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგის" მესამე საფეხურის დამატების შესახებ. ზემოთაღნიშნული პროგრამების ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ცენტრის დირექტორის ბრძანების (#103, 14.02.2018) საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: დავით კუპატაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი (თავჯდომარე), ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი (წევრი). ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობაზე დაკვირვება დაევალა ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემების განვითარების კოორდინატორს ნინო ხითარიშვილს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი მასალების სრული პაკეტი. ექსპერტთა ჯგუფმა შეადგინა ვიზიტის დღის წესრიგი, ცენტრთან შეთანხმებული დღის წესრიგი წინასწარ მიეწოდა დაწესებულებას. ვიზიტი განხორციელდა 5-6-7 მარტს, ქ. თბილისი, თემქის დასახლებაში, მე-11 მიკრო/რაიონის მე-3 კვარტალში, ნაკვეთი 01/10, ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში.

2018 წლის 6 მარტს, ვიზიტის პირველ დღეს, შედგა შეხვედრა ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.

იმავე დღეს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა განიხილეს დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტები და შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაცია, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი აქტები, ვებ-გვერდი, კატალოგი და პროგრამებთან დაკავშირებული ბიბლიოთეკის ფონდი, ასევე რეესტრის წარმოების საკითხი. სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეაჯამეს დღის განმავლობაში განხილული საკითხები დაწესებულების ადმინისტრაციასთან და ხარისხის სამსახურის უფროსს მიაწოდეს ინფორმაცია მიგნებების შესახებ.

სამუშაო ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა პროგრამების განმახორციელებელი ადამიანური რესურსის დოკუმენტაცია, მატერიალური სტანდარტისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, შედგა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პირებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018 წ.

სამუშაო ვიზიტის მესამე დღეს მოხდა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების ობიექტების დათვალიერება და მატერიალური ბაზის შემოწმება (სს „საქართველოს რკინიგზა"-ს აღმოსავლეთის სალიანდაგო სამმართველოში - ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #26, სს „საქართველოს რკინიგზა"-ს აღმოსავლეთის ელ.მომარაგების სამმართველოში - ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #24 და „ველი"- რკინიგზის სადგური ველის მიმდებარე ტერიტორია). შედგა გასაუბრება აღნიშნული ობიექტების ხელმძღვანელებთან, წარმომადგენლებთან და პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა მუშაობა დაიწყეს დასკვნის პროექტზე და გააკეთეს ჩატარებული სამუშაოების ანალიზი. დღის ბოლოს შედგა შეხვედრა ექსპერტთა ჯგუფის წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებთან, სადაც შეჯამდა სამი დღის სამუშაოების შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დასრულდა 2018 წლის 7 მარტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.	**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები**	**მუხლი 6**	√	
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	√	
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	√	
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	√	
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	√	
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	√	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018 წ.

1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	✓	
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	✓	
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	✓	
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	✓	
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	✓	
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	✓	
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	✓	
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	✓	
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	✓	
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	✓	
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**	✓	
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**	✓	
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**	✓	
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**	✓	
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	✓	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018 წ.

2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	✓	
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	✓	
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	✓	
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	✓	
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	✓	
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	✓	

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ სასწავლო გეგმის მიხედვით დაწესებულების ბაზაზე განსაზღვრული ასათვისებელი სწავლის შედეგების გავლის შემდეგ (20 კრედიტის გავლის შემდეგ) პროფესიულ სტუდენტებს დაენიშნებათ განმავითარებელი შეფასება, რომელიც ემსახურება პროფესიული სტუდენტების დადებითი მხარეების და ნაკლოვანებების გამოვლენას. განმავითარებელი შეფასების შემდეგ თითოეულ პროფესიულ სტუდენტთან ჩატარდება ინდივიდუალური გასაუბრება, რომლის ფარგლებშიც პროფესიულ სტუდენტებს მიეცემათ რჩევები და რეკომენდაციები მათი შემდგომი სწავლის პროცესის უკეთ დაგეგმვა/გაუმჯობესებისა და ნაკლოვანებების აღმოფრხვრისათვის. აღნიშნული შეფასება ტარდება სწავლის შედეგების დადასტურებისგან დამოუკიდებლად და იგი არ მონაწილეობს სტუდენტების საკვალიფიკაციოდ გამიზნულ შეფასებებში. განმავითარებელი შეფასების შედეგები აისახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში და იგი ასახავს სტუდენტის იმ პირად თვისებებს, რომელიც კავშირშია წარმოებაში სამუშაოების უსაფრთხო შესრულებასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018 წ.

განმავითარებელი შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების წარმოებაში პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე. ამასთან, პრაქტიკის ინსტრუქტორი ვალდებული იქნება გეცნოს მასსზე მიამგრებეული პროფესიული სტუდენტის პროტფოლიოს წინასწარ.

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის განმავლობაში განსახილველი პროგრამების მიმართ ხარვეზები არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1. დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა მისიაში ასახოს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის ხელშეწყობა.
2. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი დააფუძნოს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაზე.
3. სასურველია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები გაერთიანდეს, გამსხვილდეს და ჩამოყალიბდეს 3-5 მსხვილი მიზნის სახით.
4. სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმას შორის არსებული ბმის უკეთ გამოკვეთის მიზნით, რეკომენდებულია, სამოქმედო გეგმის სტრუქტურაში აისახოს სტრატეგიული მიზანი და შემდეგ გაიწეროს ის აქტივობები, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია მიმდინარე წლის მანძილზე და რომლებიც მიმართულია სტრატეგიული მიზნის მისაღწევად.
5. სამოქმედო გეგმაში სასურველია განისაზღვროს მიზნის მიღწევის ინდიკატორები, ხოლო აქტივობების შესრულების ვადები წარმოდგენილი იქნას დროითი გრაფიკის მიხედვით (ე.წ. Timeline). ასევე, პასუხისმგებელი პირის გრაფაში უმჯობესია, პოზიციის მაგივრად მითითებული იქნას უშუალოდ ამ პოზიციაზე დასაქმებული პირის სახელი და გვარი, რათა შემდგომში გაადვილდეს დავალებების შერულების მონიტორინგი.
6. მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგები ჯერ არ ახორციელებენ სწავლებას (მათთან გაფორმებულია წინარე შრომითი ხელშეკრულებები), დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მოხდეს მათი ასახვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემაში (evet.emis.ge).
7. სასურველია ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული იყოს ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგი და კოლეჯის სტრქუქტურა წარმოდგენილი იყოს ორგანოგრამის სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018 წ.

VII. დაწესებულების მისია

ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მისიაა, თანამედროვე საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში და მათი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევისა და წარმატებული დასაქმებისათვის პირობების შექმნა. კოლეჯის ხედვაა, იყოს ლიდერი სასწავლებელი რეგიონში სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში, სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით, პროფესიონალი პედაგოგებით, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და მრავალფეროვანი პარტნიორობით. კოლეჯის ფასეულობები და სამუშაო პრინციპებია:

- ინდივიდუალური მიდგომა ყოველი სტუდენტისადმი;
- სწავლის პროცესში განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებაზე - „ სწავლა კეთებით";
- თანამშრომლობითი, კომფორტული და ესთეტიური სასწავლო გარემოს შეთავაზება;
- მოტივირებული პედაგოგების კორპუსის შექმნა, როგორც მნიშვნელოვანი რესურსისა;
- სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის უზრუნველყოფა და შრომის ბაზარზე ორიენტაცია;
- ინოვაციურობა და პროგრესულობა.

<u>დაწესებულებას რეკომენდაცია მიეცა მისიაში ასახოს კოლეჯის პროფილური მიმართულება, ასევე მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპის ხელშეწყობა. აღნიშნული ჩანაწერი ხაზს გაუსმევს დაწესებულების ინდივიდუალიზმს.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018 წ.

სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი" (ს/კ **402019917**) წარმოადგენს ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას (საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 8 ნოემბერის N38 გადაწყვეტილება). ამ ეტაპზე დაწესებულებას მოპოვებული აქვს მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის" განხორციელების უფლება, თუმცა ამ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მიღება არ გამოცხადებულა. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 20 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.

დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადი სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით:

1. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 იანვრის №23 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა - **„რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა"**. სარეგისტრაციო ნომერი 07313-პ. მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018 წ.

დანართის შესაბამისად - მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში, **040569**;

2. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 იანვრის №24 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა - ***„რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“.*** სარეგისტრაციო ნომერი 07318-3, მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართის შესაბამისად - მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში, **040690**;
3. კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 12 იანვრის №25 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამა - ***„რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“.*** სარეგისტრაციო ნომერი - 07318-3 მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კოდი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართის შესაბამისად - მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში, **040690**.

პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები შედგება ძირითადი დოკუმენტისა და მოდულების ადაპტირებული ვერსიებისაგან. პროგრამებში განსაზღვრულია: მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია; პროგრამის მიზანი; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები; პროგრამის მოცულობა კრედიტებში და ხანგრძლივობა; პროგრამის სტრუქტურა და მოდულების ჩამონათვალი (ზოგადი მოდულები, საერთო პროფესიული/დარგობრივი მოდულები და სპეციალიზაციის პროფესიული/დარგობრივი მოდულები). თითოეულ პროგრამას თან ერთვის: შესაბამისი მოდულები; სასწავლო გეგმა და ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ (სახელი, გვარი, მოდული - რომელსაც ახორციელებს და კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილება); სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის.

წარმოდგენილ პროგრამებს აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა. თითოეული პროგრამის შესაბამისი მოდულების შესწავლისას დაცულია წინაპირობები, თანმიმდევრობა ასხულია სასწავლო გეგმებში, რომლის მიხედვით დაწესებულების ბაზაზე განსაზღვრული ასათვისებელი სწავლის შედეგების გავლის შემდეგ (20 კრედიტის გავლის შემდეგ) პროფესიულ სტუდენტებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

დაენიშნებათ განმავითარებელი შეფასება, რომელიც ემსახურება პროფესიული სტუდენტების დადებითი მხარეების და ნაკლოვანებების გამოვლენას. განმავითარებელი შეფასების შემდეგ თითოეულ სტუდენტთან ჩატარდება ინდივიდუალური გასაუბრება, რომლის ფარგლებშიც პროფესიულ სტუდენტებს მიეცემათ რჩევები და რეკომენდაციები მათი შემდგომი სწავლის პროცესის უკეთ დაგეგმვა/გაუმჯობესებისა და ნაკლოვანებების აღმოფრხვრის მიზნით. აღნიშნული შეფასება ტარდება სწავლის შედეგების დადასტურებისგან დამოუკიდებლად და იგი არ მონაწილეობს სტუდენტების საკვალიფიკაციოდ გამიზნულ შეფასებებში. განმავითარებელი შეფასების შედეგები აისახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში და იგი წარმოადგენს ინფორმაციას პროფესიული სტუდენტის იმ პირად თვისებების შესახებ, რომლებიც კავშირშია წარმოებაში სამუშაოების უსაფრთხო შესრულებასთან.

განმავითარებელი შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტების პარტნიორ საწარმოში გაგზავნამდე, პრაქტიკული კომპონენტის დაწყებამდე. ამასთან, პრაქტიკის ინსტრუქტორი ვალდებულია წინასწარ გაეცნოს მასზე მიმაგრებული პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოს. ვიზიტის პროცესში შესაძლებელი გახდა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მასწავლებლებთან გასაუბრებაც. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს ნათლად აქვს გააზრებული მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის მნიშვნელობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ, დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებს არჩევანის საფუძველზე სთავაზობს შემდეგ სქემას:

1) პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სწავლის დასრულებისთანავე გავიდეს საკვალიფიკაციო გამოცდაზე. ამ შემთხვევაში სს „საქართველოს რკინიგზა“ არ აიღებს მისი პირდაპირი დასაქმების ვალდებულებას და კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება მონაწილეობა მიიღოს კომპანიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში;
2) პროფესიულ სტუდენტს შეუძლია სწავლის დასრულების შემდეგ 6 თვით დარჩეს საწარმოში. ამ პერიოდში ის მიიღებს დასაქმების ანალოგიური პოზიციისათვის განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს 2/3 წილს და გარანტიას, რომ საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით დასრულების შემთხვევაში დასაქმდება შესაბამის პოზიციაზე სრული თანამდებობრივი სარგოთი.

დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროგრამებში წარმოდგენილი პროფესიულ სტუდენტთა კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018 წ.

ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუ-დენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრინციპით, პროგრამების განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სს „საქართველოს რკინიგზასთან".

<u>რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი</u>

სს „საქართველოს რკინიგზა" (იუს/18-002. 24.01.2018), რომლის საფუძველზეც - კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების ათვისების მიზნით უზრუნველყოს არაუმეტეს **15** პროფესიული სტუდენტის სწავლება. სს „საქართველოს რკინიგზა"-ს აღმოსავლეთის სალიანდაგო სამმართველოში (ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #26) და „ველი"-ში (რკინიგზის სადგური ველის მიმდებარე ტერიტორია)

<u>რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა</u>

სს „საქართველოს რკინიგზა" (იუს/18-003. 24.01.2018), რომლის საფუძველზეც - კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების ათვისების მიზნით უზრუნველყოს არაუმეტეს **30** პროფესიული სტუდენტის სწავლება. სს „საქართველოს რკინიგზა"-ს აღმოსავლეთის სალიანდაგო სამმართველოში (ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #26) და „ველი"-ში (რკინიგზის სადგური ველის მიმდებარე ტერიტორია)

რკინიგზის ელექტრომეურნეობის მომარაგება

სს „საქართველოს რკინიგზა" (იუს/18-003. 24.01.2018), რომლის საფუძველზეც - კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდგომ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების ათვისების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

მიზნით უზრუნველყოს არაუმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის სწავლება. სს „საქართველოს რკინიგზა“-ს აღმოსავლეთის ელ. მომარაგების სამმართველოში (ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #24). გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულების მიერ პროგრამების დამატების განცხადებაში მითითებული იყო პროფესიული სტუდენტების მიღება ორ ნაკადად, ხოლო პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებდა მხოლოდ ერთ ნაკადზე მიღებული პროფესიული სტუდენტების მიღებას, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია წარმოდგენილ ხელშეკრულებებში დაეზუსტებინათ ჩანაწერი პარტნიორ საწარმოში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობასთან დაკავშირებით.

ვიზიტის პროცესში დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებითი შეთანხმებები პარტნიორ სამივე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე.

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს გენერალური დირექტორის 2018 წლის 23 იანვრის #56 ბრძანებით ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“-ს მიერ პროგრამების სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური მიდგომით განხორციელების მიზნით, გამოიყო პრაქტიკის ხელმძღვანელები და ინსტრუქტორები (სულ - 29 პირი). აქედან 6 ინსტრუქტორი მოემსახურება პროგრამის - „რკინიგზის ელექტრომეურნეობის მომარაგების“ პროფესიული სტუდენტების თითო ნაკადის სწავლებას და ინსტრუქტირებას. ხოლო დანარჩენი 23 ინსტრუქტორი მოემსახურება პროგრამების - „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ და „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ - პროფესიული სტუდენტების თითო ნაკადის სწავლებას და ინსტრუქტირებას.

პარტნიორ ორგანიზაციაში ვიზიტის პროცესში შესაძლებელი გახდა ინსტრუქტორებთან და მათ ხელმძღვანელებთან გასაუბრებაც. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს ნათლად აქვს გააზრებული მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის მნიშვნელობა. პარტნიორ საწარმოში ინსტრუქტორი თეორიის მასწავლებელთან ერთად ახდენს პროფესიული სტუდენტის შეფასებას. პროფესიული სტუდენტები სისტემატიურად ავსებენ ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ადასტურებს ინსტუქტორი.

სამივე ხელშეკრულებაში პროფესიული სტუდენტების რაოდენობა, რომელთა მიღებაც გეგმავს დაწესებულება, მითითებულია მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობაზე ორჯერ ნაკლები. მაგალითად: „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა - 60, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით სს „საქართველოს რკინიგზა“ პროფესიული პროგრამის პრაქტიკული სწავლის შედეგების ასათვისებლად უზრუნველყოფს არაუმეტეს 30 პროფესიული სტუდენტის მომზადებას. დაწესებულების და სს „საქართველოს რკინიგზის“ წარმომადგენლის განმარტებით დაწესებულება ერთ მიღებაზე იღებს 30 პროფესიულ სტუდენტს პარტნიორ ორგანიზაციაში.

ვიზიტის პროცესში დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებითი შეთანხმებები პარტნიორ ორგანიზაციასთან, სადაც დაზუსტდა ჩანაწერი შემდეგი სახით: „<u>უზრუნველყოს თითო ნაკადზე მიღებული არაუმეტეს 30 სტუდენტის პრაქტიკის უზრუნველყოფა</u>“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018 წ.

ვიზიტის დროს იდენტიფიცირებული იქნა მოდულების ადაპტირების პროცესში დაშვებული მცირედი ტექნიკური ხარვეზებიც. კერძოდ, სამივე საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების 3.1 პუნქტში „დამატებითი რეკომენდაციები მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით (საჭიროების შემთხვევაში)" ფრაზა „საჭიროების შემთხვევაში" არსებობა აღარაა საჭირო, რადგან თუ ასეთი რეკომენდაციები შემუშავებული აქვს დაწესებულებას, ის უკვე უნდა იყოს შეტანილი დასახელებულ ცხრილში, ხოლო თუ არ აქვს - მაშინ ეს გრაფა უნდა იყოს წაშლილი.
ასევე, ყველა მოდულში სადაც მოცემულია ტექნიკური აღჭურვილობა, ჩანაწერი გაკეთებულია შემდეგნაირად: „მინიმალური ტექნიკური არჭურვილობა და ნორმატივი". სიტყვა „მინიმალური" არ უნდა ეწეროს, რადგან მინიმალურ ტექნიკურ აღჭურვილობას განსაზღვრავს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ხოლო სასწავლებელი მოდულის ადაპტირების პროცესში უთითებს ტექნიკური აღჭურვილობის იმ ჩამონათვალს, რომელიც აქვს დაწესებულების ბაზაზე.
უცხოური ენის მოდულებში სასწავლო რესურსში წერია „მიეთითება ენის შესაბამისად". მოდული ადაპტირებული უნდა იყოს ინგლისური ენის შესაბამისად.
დაწესებულებამ მოახდინა აღნიშნული ტექნიკური შეცდომების გასწორება და ვიზიტის მსვლელობის დროს წარმოადგინა მოხსენებითი ბარათი და კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 07 მარტის #31 ბრძანება მოდიფიცირებული სახით პროგრამების დამტკიცების შესახებ.
აღსანიშნავია, რომ თოეულ მოდულს ჰყავს რამოდენიმე განმახორციელებელი (8; 10 და ა.შ). დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ეს განპირობებულია იმით, რომ პედაგოგების ძირითადი ნაწილი დასაქმებულია სს „საქართველოს რკინიგზაში" ხელმძღვანელ და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და რიგ შემთხვევაში, სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე შეიძლება ვერ მოახერხონ მეცადინეობისთვის განკუთვნილ დროს სასწავლებელში გამოცხადება. ამიტომ დაწესებულებამ შეიმუშავა მექანიზმი, რომლის თანახმადაც ხდება პედაგოგების ურთიერთჩანაცვლება და სასწავლო პროცესის უწყვეტობის შენარჩუნება. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პირი რომელიც ვერ ახერხებს მეცადინეობაზე გამოცხადებას, წინასწარ ატყობინებს სასწავლებელს და ხდება მისი ჩანაცვლება მოდულში მითითებული სხვა პროგრამის განმახორციელებელი პირით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი"-ს დირექტორის 2018 წლის 7 მარტის ბრძანება #31 საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ, მოხსენებითი ბარათით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

- ხელშეკრულება პარტნიორ საწარმოსთან (იუს/18-002; იუს/18-003; იუს/18-004 – 24.01.2018) შეთანხმებებით ცვლილებების შესახებ
- პარტნიორი საწარმოს დათვალიერება და ინსტრუქტორებთან გასაუბრება;
- სს „საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის 2018 წლის 23 იანვრის #56 ბრძანება (ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი"-ს მიერ სწავლების დუალური მეთოდოლოგიის ხელშეწყობის მიზნით, კოლეჯის სტუდენტთა სს „საქართველოს რკინიგზაში" პრაქტიკის გავლის შესახებ)
- პარტნიორი საწარმოს ინსტრუქტორებთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც განთავსებულია სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ვებ-გვერდზე. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში პროფესიული პროგრამა (,,სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი") შეტანილია.

წარმოდგენილი სამი პროგრამისათვის დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამების აღწერილობა (კატალოგი) მატერიალური სახით, მათი განმარტებით, ეს კატალოგი ვებ-გვერდზე აიტვირთება პროგრამების განხორციელებაზე ნებართვის მოპოვების შედგეგ.

პროგრამების კატალოგში მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების შესახებ; პროგრამების ჩამონათვალი; თითოეული პროგრამისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება; პროგრამაზე დაშვების წინაპირობა; კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018 წ.

პროგრამის მიზნები; სწავლის შედეგები; პროგრამაზე განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა; პროგრამის ხანგრძლივობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი მატერიალური სახით
- ვებ-გვერდი: https://www.rtc.edu.ge/pdf/katalogi-5a3170942ac8d.pdf

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. დაწესებულების მიერ დაცულია პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის და დამტკიცების პროცედურა.
წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შდეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებს, კერძოდ:

- ელექტროობა - 07313-3
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - 07318-3

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018 წ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგების შედარება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტთან.

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებს, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დოკუმენტით ა(ა)იპ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- https://www.rtc.edu.ge/pdf/saswavlo-procesis-maregulirebeli-wesi-5a316f2fb5167.pdf

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, სადაც ირკვევა, რომ საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი დაეხმარება პროფესიულ სტუდენტებს გადავიდნენ სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ასევე არის ჩანაწერი - „კოლეჯი სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“, თუმცა დაწესებულების ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრების შემდეგ გაირკვა, რომ ასეთი მემორანდუმი არ არსებობს.
თუმცა პროცესში კოლეჯმა წარმოადგინა ხელშეკრულება სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, რის მიხედვითაც სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ და „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ შეწყვეტის ან გაუქმების შემთხვევაში უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების მობილობის წესით ჩარიცხვა სწავლის გაგრძელების მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დოკუმენტით ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“-ს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- https://www.rtc.edu.ge/pdf/saswavlo-procesis-maregulirebeli-wesi-5a316f2fb5167.pdf
- 2018 წლის 6 მარტის ხელშეკრულება ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯსა“ და სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის, კოლეჯის მოდულური (დუალური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობა“, „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგი“ და „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა“ შეწყვეტის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების მობილობის წესით სწავლის გაგრძელების უზრუნველყოფის შესახებ.
- დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსთან ინტერვიურება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

შეფასება:

- ✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი"-ს მიერ დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების ციკლის ეტაპები (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე) და შესაბამისი კითხვარები.

სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაწესებულება გეგმავს იყოს მჭიდრო თანამშრომლობაში სს „საქართველოს რკინიგზასთან" და თავისი საქმიანობის დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს კომპანიისგან მიღებული ინფორმაცია მიმდინარე საჭიროებებთან დაკავშირებით.

ციკლის ეტაპზე „განხორციელება" ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში გააკონტროლებს სასწავლო პროცესის მიმდიანრეობასა და სწავლების ხარისხს. კოლეჯს აქვს ხარისხის სამსახური, რომელიც განახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო სწავლების დუალურ მეთოდებს. მასში ჩართული იქნება სასწავლო პროცესის და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის სამსახური, რომელიც ყოველდღიურ რეჟიმში გააკონტროლებს საწავლო პროცესის მიმდინარეობასა და სწავლების ხარისხს.

ყოველი მოდულის დასრულების შემდეგ პროფესიულ სტუდენტებს დაურიგდებათ კითხვარები, რომლითაც შეაფასებენ პედაგოგს, ხოლო პროგრამის დასრულების შემდეგ ისინი ასევე შეაფასებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს შეაფასებს ასევე აკადემიური პერსონალი და ნებისმიერი დაინიტერესებული პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ ხარისხის მართვის დებულება
- ➢ კითხვარები
- ➢ სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

➢ ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს" სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით (12.02.2016) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გადმოცემული აქვს ქ. თბილისში, თემქის დასახლებაში, მე-11 მიკრო/რაიონში, მე-3 კვარტალში, ნაკვეთ 01/10-ში მდებარე მიწის ნაკვეთი და მასზე მიმაგრებული #1, #2 და #3 შენობა ნაგებობები (საკადასტრო კოდი: [redacted], დაზუსტებული ფართით 42887 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ფართი - 5813 კვ.მ. აქედან დასამატებელი 3 პროფესიული პროგრამისთვის განკუთვნილი სასწავლო ფართი - 600 კვ.მ.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
	ქ. თბილისი, თემქის დასახლება, მე-11 მიკრო/რაიონი, მე-3 კვარტალი, ნაკვეთი 01/10	დაზუსტებული ფართით 42887 კვ.მ; შენობა-ნაგებობა - 5813 კვ.მ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- უზუფრუქტის ხელშეკრულება, რეგისტრაციის #[redacted] დამოწმების თარიღი 12.02.216
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (#[redacted], 06/03/2018)

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დასამატებელი პროგრამების განსახორციელებლად გათვალისწინებულია სათანადო ინვენტარით აღჭურვილი შემდეგი სასწავლო ფართი:

„რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის“ პროგრამისათვის #308 აუდიტორიაში განთავსებულია - 9 ორადგილიანი მერხი, 16 სკამი, 1 პორტატული კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პროექტორის დაფა, A1 მრავალფუნქციური პრინტერი, მასწავლებლის მაგიდა და სკამი (საერთო ფართი 63 კვ.მ)

„რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის“ პროგრამისათვის #307 აუდიტორიაში განთავსებულია - 9 ორადგილიანი მერხი, 16 სკამი, 1 პორტატული კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პროექტორის დაფა, A1 მრავალფუნქციური პრინტერი, მასწავლებლის მაგიდა და სკამი (საერთო ფართი 61 კვ.მ)

„რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგის“ პროგრამისათვის #306 აუდიტორიაში განთავსებულია - 9 ორადგილიანი მერხი, 16 სკამი, 1 პორტატული კომპიუტერი, 1 პროექტორი, 1 პროექტორის დაფა, A1 მრავალფუნქციური პრინტერი, მასწავლებლის მაგიდა და სკამი (საერთო ფართი 84 კვ.მ)

სათადარიგო (სამივე პროგრამისათვის) „A“ ტიპის აუდიტორია # 302. აღჭურვილია - 9 ორადგილიანი მერხი, 16 სკამი, 1 პორტატული კომპიუტერი, მასწავლებლის მაგიდა და სკამი (საერთო ფართი 46 კვ.მ)

„B“ ტიპის სასწავლო გარემო განთავსებულია #305 აუდიტორიაში (საერთო ფართობი 64 კვ.მ). აუდიტორია აღჭურვილია - 9 ორადგილიანი მაგიდით, 17 სკამით, 16 პერსონალური კომპიუტერით, 1- პოტრატული კომპიუტერით, მასწავლებლის მაგიდით და სკამით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

საგამოცდო ოთახი #303, რომელშიც განთავსებულია: 28 ერთადგილიანი მერხი, 28 სკამი, 27 პერსონალური კომპიუტერი, 1 პორტატული კომპიუტერი, A1 მრავალფუნქციური პრინტერი (საერთო ფართი 110 კვ.მ)

პროგრამის განხორციელების ადგილზე მოწყობილია ორი სახელოსნო („C" გარემო), იმ პრაქტიკული სწავლის შედეგების ასათვისებლად, რომელთა განხორციელებაც სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია დაწესებულების ბაზაზე (ოთახი #2 - ფართი 44 კვ.მ და ოთახი #5 ფართი 64 კვ.მ). ორივე სახელოსნოში განთავსებულია სამედიცინო დახმარების პირველადი აღმოჩენის საშუალებები.

ასევე, „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობისა" და „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრული პრაქტიკული უნარების სასწავლებლის ბაზაზე ათვისების მიზნით, დაწესებულებას ეზოში მოწყობილი აქვს ლიანდაგი.

სასწავლო გეგმის მიხედვით, პარტნიორ საწარმოში ასათვისებელი სწავლის შედეგების შესაბამისი მატერიალური ბაზები განთავსებულია პრაქტიკული სწავლების განხორციელების მისამართზე (ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #26, ზესტაფონის ქ. #24 და რკინიგზის სადგური ველის მიმდებარე ტერიტორია).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხელშეკრულება #PP09-A1/ISWD/G/S/18-144
- მიღება-ჩაბარების აქტები
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #13
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში" შექმნილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელი გარემო. დაწესებულება უწყვეტად მარაგდება ელექტროენერგიით. ასევე არის ბუნებრივი განათება ყველა იმ აუდიტორიაში, სადაც პროფესიულ სტუდენტებს უხდებათ მუშაობა. სველი წერტილები განლაგებულია ოთხივე სართულზე ქალებისა და მამაკაცებისათვის ცალ-ცალკე. ასევე სართულებზე არის სველი წერილები შშმ პირებისათვის. შენობაში არის დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემაა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერება
- ელ. ენერგიის საფასურის გადახდის ქვითრები

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ პროგრამებში მითითებულ ლიტერატურას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითად გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო, ზოგად და არჩევით მოდულებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

მითითებული ლიტერატურა. ყველა საწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში ნაწილი ნაბეჭდი სახით, ხოლო ნაწილი - ელექტრონულ მატარებელზე.
ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცეში განთავსებულია 10 ორადგილიანი მერხი, 16 სკამი. ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, 10 ცალი ღია თაროებიანი კარადა წიგნებისათვის, მრავალფუნქციური პრინტერი, ასლის გადაღების და სკანერის შესაძლებლობით, 4 ცალი სტაციონალური კომპიუტერი, საერთო ფართი - 65 კვ.მ.
ბიბლიოთეკაში არსებობს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული კატალოგი. განსაზღვრულია ბიბლიოთეკის სამუშაო სააათები. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკარს აქვს ბიბლიოთეკარად მუშაობის ექვსწლიანი გამოცდილება, რაც დაწესებულებამ დაადასტურა შესაბამისი დოკუმენტით.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი განათავსოს დაწესებულების ვებ-გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი
- წიგნების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- CD დისკზე ჩატვირთული ელექტრონული სახელმძღვანელოები
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯში" აღრიცხული არის სათანადო პარამეტრების მქონე პორტატული კომპიუტერი 25 ცალი, აქედან ადმინისტრაციისათვის 10 ცალი. პერსონალური კომპიუტერი 159 ცალი, პროექტორი 16 ცალი; პროექტორის ეკრანი 16 ცალი; A3 მრავალფუნქციური ფერადი პრინტერი 1 ცალი; A4 მრავალფუნქციური პრინტერი 15 ცალი. აუდიტორიებში და ადმინისტრაციის ოთახებში არსებული კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტ ქსელში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხელშეკრულება #PP09-A1/ISWD/G/S/18-144
- მიღება-ჩაბარების აქტები
- ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #13
- ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში გაცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული „საქმის წარმოების" წესის შესაბამისად. აქტების აღრიცხვა ხდება შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში და ასევე აწარმოებს ელეტრონულად Exel-ს ფორმაში. დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები დანომრილია, ბეჭედდასმულია და აკინძულია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სარეგისტრაციო ჟურნალი
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „საქმისწარმოების წესი"

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებამ წარმოადგინა სათანადო უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული ევაკუაციის გეგმები, რომელიც განთავსებულია ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე, ასევე ყველა სართულზე განლაგებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით დაწესებულებაში არსებობს ექიმის კაბინეტი საჭირო ინვენტარით და დახმარებისათვის საჭირო გადაუდებელი მედიკამენტებით. არის შესაბამისი კვალიფიკაციის პირი სამედიცინო დახმარების გასაწევად. სასწავლო კორპუსის დერეფნები, აუდიტორიები და გარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია სათვალთვალო კამერებით, წესრიგის დაცვას ახორციელებს კერძო დაცვის სამსახური „საკუთრების დაცვის სამმართველო-I“, რომელთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხანძარსაწინააღმდეგო და საევაკუაციო გეგმა
- ვიზუალური დათვალიერება
- ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება კოლეჯსა და კერძო დაცვის სამსახურ „საკუთრების დაცვის სამმართველო-I“-ს შორის

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიულ სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო: სასწავლებლის შენობასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

თავისუფალი მისვლის შესაძლებლობა. არსებობს პირველ სართულზე შესასვლელი სპეციალურად მოწყობილი პანდუსი სსსმ პირებისათვის, ასევე ხუთივე სართულზე არსებობს ადაპტირებული სველი წერტილები. სართულებს შორის გადაადგილება შესაძლებელია ლიფტით. შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია და დაწესებულების ადმინისტრაცია. ყველა აუდიტორიის შესასვლელი მოწყობილია იმგვარად, რომ თავისუფლად მოხერხდეს სსსმ პირების გადაადგილება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ➢ ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას აქვს ვებ-გვერდი www.rtc.edu.ge, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია შემდეგი სახის ინფორმაცია: დაწესებულების - ისტორია; მისია; წესდება; სტრუქტურა; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; პროგრამის კატალოგი; ინფორმაცია ადმინისტრაციისა და პედაგოგიური რესურსის შესახებ. ინფორმაცია რეგულარულად განახლებადია.

დაწესებულებამ დეკემბერში შეცვალა დომენი, რომელიც ჯერ არ არის მიბმული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის რეესტრის ბაზაზე. თუმცა დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ეს ინფორმაცია მიწოდებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის და უახლოეს პერიოდში მოხდება ცვლილების შეტანა.

კოლეჯს აქვს ასევე საკუთარი facebook-გვერდი, სადაც რეგულარურად აქვეყნებს სიახლეებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

<u>**დაწესებულებას ექსპერტების მიერ მიეცა რეკომენდაცია, რომ სასურველია ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული იყოს ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგი და კოლეჯის სტრქუქტურა წარმოდგენილი იყოს ორგანოგრამის სახით.**</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვებ-გვერდი - www.rtc.edu.ge
- სასწავლო კოლეჯის facebook-გვერდი

შეფასება:

✓ <u>**ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**</u>

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯს" აქვს მოქმედი - განვთარების სტრატეგიული გეგმა (2016-2022), ასევე შემუშავებული აქვს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2017-2018), ასევე 2016-2017 წლის განვითარების სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების ანგარიში, რომელიც მოიცავს კოლეჯის მისიას, საქმიანობის პრინციპებს, ხედვას და განვითარების სტრატეგიებს.

დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი დააფუძნოს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაზე. წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულია SWOT ანალიზის ელემენტები, თუმცა ის სრული სახით არაა გადმოცემული. ასევე, სასურველია სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები გაერთიანდეს, გამსხვილდეს და ჩამოყალიბდეს 3-5 მსხვილი მიზნის სახით.

სამოქმედო გეგმასა და სტრატეგიულ გეგმას შორის არსებული ბმის უკეთ გამოკვეთის მიზნით, რეკომენდებულია, სამოქმედო გეგმის სტრუქტურაში აისახოს სტრატეგიული მიზანი და შემდეგ გაიწეროს ის აქტივობები, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია მიმდინარე წლის მანძილზე და რომლებიც მიმართულია სტრატეგიული მიზნის მისაღწევად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

სამოქმედო გეგმაში სასურველია განისაზღვროს მიზნის მიღწევის ინდიკატორები, ხოლო აქტივობების შესრულების ვადები წარმოდგენილი იქნას დროითი გრაფიკის მიხედვით (ე.წ. Timeline). ასევე, პასუხისმგებელი პირის გრაფაში უმჯობესია, პოზიციის მაგივრად მითითებული იქნას უშუალოდ ამ პოზიციაზე დასაქმებული პირის სახელი და გვარი, რათა შემდგომში გაადვილდეს დავალებების შერულების მონიტორინგი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი"-ს პერსონალია: ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და დამხმარე პერსონალი. თანამდებობრივი ინსტრუქციები დამტკიცებულია დირექტორის 31.10.2017 წლის #21 ბრძანებით.
ექსპერტებმა დაადგინეს, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, რასაც ადასტურებს მათი პირადი საქმეები.
წარმოდგენილი ინფორმაცია შედარებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემასთან (evet.emis.ge).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- კოლეჯის პერსონალის პირადი საქმე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

- კოლეჯის დირექტორის 31.10.2017 წლის #21 ბრძანება ადმინისტრაციული პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციების შესახებ
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემიდან მიღებული ინფორმაცია (evet.emis.ge)

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას ყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 61 პროგრამის განმახორციელებელი პირი, რომლებიც შერჩეულია „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 12¹ მუხლის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ავტორიზაციის ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა ყველა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმე, სადაც განთავსებულია წინარე შრომითი ხელშეკრულებები, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის, განათლების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები. მათი განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს. ასევე შედარებული იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის ბაზებთან (evet.emis.ge), სადაც პედაგოგების შესახებ ინფორმაცია არ არის ასახული.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობის" განხორციელებას უზრუნველყოფს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 40 პირი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „რკინიგზის ელექტრომომარაგების მეურნეობის" განხორციელებას - შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 32 პირი.

პროფესიული საგანმანათებლო პროგრამის „რკინიგზის ლიანდაგის მონიტორინგის" განხორციელებას შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 43 პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.

ვიზიტის პროცესში შესაძლებელი გახდა პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მასწავლებლებთან გასაუბრებაც. აღსანიშნავია, რომ თითოეულ მათგანს ნათლად აქვს გააზრებული მათზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობის მნიშვნელობა.

კოლეჯს მიეცა რეკომენდაცია, რომ პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ ინფორმაცია ასახული იქნას რეესტრის ბაზაში (evet.emis.ge). მიუხედავად იმისა რომ, ჯერ არ ახორციელებენ სწავლებას და მათთან გაფორმებულია წინარე შრომითი ხელშეკრულებები, მაინც მოხდეს მათი ასახვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სისტემაში (evet.emis.ge).

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეებით
- პროგრამის განმახორციელებელ პირებთან დადებული წინარე შრომითი ხელშეკრულებებით
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის ბაზიდან მიღებული ინფორმაცია (evet.emis.ge)

შეფასება:

✓ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ა(ა)იპ - „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი"-ს მიერ მასწავლებელთა შერჩევა და თანამდებობაზე დანიშვნა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესისა და კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილი წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შინაგანაწესით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

თბილისი, 2018 წ.

- ➢ პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით
- ➢ პროგრამების განმახორციელებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები

შეფასება:

✓ **<u>ქვესტანდარტი არ არის დარღვეული</u>**

☐ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	*რკინიგზის ელექტრო-მომარაგების მეურნეობა*	მეოთხე	**040569**	**92**	**122**	ქართ	1. ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 2. ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #24	0	30
2	*რკინიგზის ლიანდაგის მონიტორი-ნგი*	მესამე	**040690**	**95**	**110**	ქართ	1. ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 2. ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #26 3. ქ. თბილისი, "ველი" – (რკინიგზის სადგური ველის მიმდებარე ტერიტორია)	0	30
3	*რკინიგზის ლიანდაგის მშენებლობა*	მესამე	**040690**	**79**	**94**	ქართ	1.ქ. თბილისი, თემქის დასახლება, 11 მ/რ, კვარტალი III, ნაკვეთი 01/10 2.ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #26 3.ქ. თბილისი, "ველი" – (რკინიგზის სადგური ველის მიმდებარე ტერიტორია)	0	60

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი:

დანართები წარმოდგენილია დასკვნის პროექტთან ერთად

<u>14 მარტი, 2018 წ.</u>

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

თბილისი, 2018 წ.